დუშეთის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი სოციალური პოლიტიკისა და მუნიციპალური სოციალური პროგრამების დაგეგმვის მიზნით მოწყვლადი სამიზნე კატეგორიების ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებათა კვლევის სამუშაო ჯგუფის სხდომის შემაჯამებელი

ოქმი N3

11.10.2022

დუშეთი

სამუშაო ჯგუფის სხდომა ჩატარდა 2022 წლის 11 ოქტომბერს, დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში, ქ. დუშეთი, რუსთაველის ქ. N27.

სამუშაო ჯგუფის წევრები:

ვასილ წიკლაური - დუშეთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე;

თამილა ნადირაშვილი - დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსის მ/შ, სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარის მოადგილე;

ანნა კაკალაშვილი - დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი დასაქმებისა და სოციალური დაცვის სფეროში, სამუშაო ჯგუფის წევრი;

მარინა კაიშაური - დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, სამუშაო ჯგუფის წევრი;

ნონა აფციაური - დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული ბავშვთა და ოჯახის სოციალური მუშაკი, სამუშაო ჯგუფის წევრი;

ნინო ჭინჭარაშვილი - დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული ფსიქოლოგი, სამუშაო ჯგუფის წევრი;

მარიამ ავლახაშვილი - დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული სოციალური მუშაკი, სამუშაო ჯგუფის წევრი, მდივანი - სამუშაო ჯგუფის სხდომას აფორმებს ოქმის სახით;

მარიამ ბედუკაძე - დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სამართლებრივი უზრუნველყოფის საკითხებში, სამუშაო ჯგუფის წევრი;

თამარ კავთელიშვილი - დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის დაგეგმვის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ფინანსისტი, სამუშაო ჯგუფის წევრი.

სხდომას ესწრება სამუშაო ჯგუფის სრული შემადგენლობა, ამდენად სხდომა უფლებამოსილია გადაწყვეტილების მისაღებად.

სამუშაო ჯგუფის მდივანმა წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერის N ბ132.132218219 (01/07/2022) ბრძანების საფუძველზე შექმნილი სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ პირველადი ანგარიშის საჯარო განხილვისა და კვლევის დასრულების შესახებ.

ვინაიდან დღის წესრიგთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა, სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელმა სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

/მომხსენებელი: მარიამ ავლახაშვილი/

მოისმინეს: სამუშაო ჯგუფის მდივნის მოხსენება პირველადი ანგარიშის საჯარო განხილვასთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: ვ. წიკლაურმა, თ. ნადირაშვილმა, ა. კაკალაშვილმა, მ. ბედუკაძემ.

სხდომის თავმჯდომარემ ბატონმა ვასილ წიკლაურმა აღნიშნა, ანკეტური ფორმების სტატისტიკური მონაცემების ანალიზის და ფოკუსჯგუფის წევრების მიერ საკითხების პრიორიტეტიზაციის საფუძველზე შეიქმნა კვლევის პირველადი ანგარიში. რომლის განხილვა განხორციელდა ორ ეტაპად: პირველ ეტაპზე დაინტერესებულ მხარეებთან ერთად (სამიზნე ჯგუფები, სამოქალაქო საზოგადოების, სოციალურ სფეროში მოღვაწე საჯარო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები) მოხდა ანგარიშის პროექტის განხილვა. დაინტერესებული მხარეების მიერ საჭიროებათა კვლევის

ანგარიშის პროექტი დადებითად იქნა შეფასებული. საჯარო განხილვის მეორე ეტაპზე ანგარიშის პროექტი და დაინტერესებულ მხარეებთან განხილვის შედეგები წარედგინა მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველთა საბჭოს წარმომადგენლებს. ისინი გაეცნენ კვლევის მიგნებებს და პრიორიტეტულ მიმართულებებს და იმსჯელეს თითოეული მათგანის ირგვლივ. მათ მიერ საჭიროებათა კვლევის ანგარიში დადებითად შეფასდა.

საწინააღმდეგო მოსაზრება არ გამოთქმულა.

დაადგინეს:

სამუშაო ჯგუფზე დაკისრებული მოვალეობა ვადის ფარგლებში შესრულებულია, შესაბამისად სამუშაო ჯგუფმა დაასრულა მუშაობა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა ამოიწურა, სამუშაო ჯგუფის შემაჯამებელი სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ოქმი შედგენილია ერთ პირად.

სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე: /ვ.წიკლაური/

კომისიის მდივანი: /მ. ავლახაშვილი/